სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №269
გამარტივებული შესყიდვა

ქ. ბათუმი 18 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი „ნოდარ მახარაძე“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სარფის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის საოფისე ავეჯის სარფიდან ბათუმში გადაზიდვის (ავტომანქანაში ჩატვირთვით და ადგილზე გადმოტვირთვით - ოფისში დასაწყობებით) მიზნით თვითმცლელი, “FORD TRANSIT”-ის მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება მძღოლთან ერთად, ავეჯის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს შემდეგი მარშრუტით:

√ სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის შენობაში მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრიდან ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №84/86 - ში მდებარე ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობამდე.

2.2 კლასიფიკატორის კოდი - CPV 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 250,00 (ორასორმოცდაათი) ლარს, რომელშიც შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახდი (20%) 50,00 (ორმოცდაათი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი, მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა.

5.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.2 მომსახურების მიწოდება - ავტოსატრანსპორტო საშუალებით ავეჯის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს შემდეგი მარშრუტით:

√ სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის შენობაში მდებარე ტურისტულ საინფორმაციო ცენტრიდან ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №84/86 - ში მდებარე ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობამდე.

5.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს სათანადოდ უფლებამოსილი პირი;

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი და ხარისხიანი მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს სათანადოდ უფლებამოსილი პირი;.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების სმოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	ფიზიკური პირი „ნოდარ მახარაძე“
მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მის: ხელვაჩაური ს. მახინჯაური აკ.წერეთლის ქ. N 15 ბ. 1
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	პირადი ნომერი: 61009013782
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო საწარმო	ს.ს. “თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი – TBCBGE22
ა/ნ – GE24NB0330100200165022	ა/ნ – GE80TB7502345063600014
დირექტორი	ფიზიკური პირი
_____ /თინათინ ზოიძე/ ბ.ა	_____ /ნოდარ მახარაძე/ ბ.ა